კანიბალიზმი, როგორც პოსტჰუმანიზმი, იაგო თვალაბეიშვილის *გარდასულებსა* და მიშა ბახსოლიანის *კანიბალიადაში*

თემურ ზოიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: უცხო ენათა ფილოლოგია და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლევან ცაგარელი, პროფესორი, დოქტორი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოუქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თემურ ზოიძე, 22/01/2024

მადლობა

მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს ლექტორს და ამ კვლევის ხელმძღვანელს, ლევან ცაგარელს, სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას მოცემული ყოველთვის მნიშვნელოვანი უკუკავშირისთვის, მაგრამ განსაკუთრებით მაინც ორი რჩევისთვის: წამეკითხა *გარდასულები,* რომლის გარეშეც საკვლევ თემას ალბათ კიდევ დიდხანს ვერ შევარჩევდი; და წერა დამეწყო შესავლით, რის გარეშეც ამ ნაშრომზე მუშაობას ბოლომდე ვერ გავიყვანდი.

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში კანიბალიზმის მოტივით ინტერესდება. საკვლევ ტექსტებად შერჩეულია მიშა ბახსოლიანის *კანიბალიადა* და იაგო თვალაბეიშვილის *გარდასულები*, რომელთა ანალიზის მიზანია, გაირკვეს, რა მხატვრული დანიშნულება აქვს კანიბალიზმის მოტივს და რა როლს ასრულებს იგი საქართველოს უახლესი ისტორიული მოვლენების რეფლექსიაში. ამისთვის თეორიულ მიდგომად გამოყენებულია პოსტჰუმანიზმისა და ახალი ისტორიზმის თეორიები.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ორივე ტექსტში კანიბალიზმი ერთგვარი მეტაფორაა ისეთი სისტემური და მასშტაბური კრიზისებით გამოწვეული ტრავმებისა, როგორებიცაა ომი, პოლიტიკური დესტაბილიზაცია და სოციალური უთანასწორობა. მართალია, სხვადასხვა სიხშირით ორივე ნაწარმოებში ვხვდებით კანიბალიზმის ამ მიზეზ-შედეგობრივ გარემოებებს, მაგრამ *კანიბალიადაში* წამყვანი მაინც საომარი მოქმედებები და დარღვეული საზოგადოებრივი ინსტიტუტებია; *გარდასულებში* კი მთავარი ფოკუსი ეკონომიკურ სიდუხჭირესა და დეჰუმანიზებულ საზოგადოებაში გადარჩენისთვის ბრძოლის დაუნდობელ მეთოდებზეა.

ტრავმული გამოცდილება და სოციალური ნატურალიზმი საერთოა ორივე საკვლევი ტექსტისთვის, თუმცა დამოუკიდებლად თითოეულში კანიბალიზმის ინდივიდუალურ კონტექსტუალიზაციასაც ვხვდებით: მიშა ბახსოლიანის რომანში ეს არის სიმბოლო სისტემური ძალადობისა, რომელიც ინსტიტუციონალიზებული კანიბალიზმის სახით წარმოჩნდება; იაგო თვალაბეიშვილის მოთხრობების კრებულში კი ანთროპოცენტრული დილემა შემოდის და პოსტჰუმანური პერსპექტივიდან ადამიანსა და ცხოველებს შორის სხვაობის საკითხი კრიტიკულად დაისმის.

საკვანძო სიტყვები: კანიბალიზმი, პოსტჰუმანიზმი, ახალი ისტორიზმი, ტრავმა, ომი, სოციალური უთანასწორობა.

Abstract

The focus of this research is the motif of cannibalism in contemporary Georgian literature. The selected texts for the study are "Cannibaliada" by Misha Bakhsoliani and "Departed" by Iago Tvalabeishvili. The aim of the research is to analyze the primary purpose of portraying cannibalism in fiction and how this motif reflects modern historical events in Georgia. To achieve this goal, the main theoretical frameworks employed are theories of posthumanism and new historicism.

Through the analysis of the texts, it was found that cannibalistic images in both works serve as manifestations of traumas caused by massive systemic crises, such as war, political destabilization, and social inequality. The degree of depiction of a posthumanistic environment varies in the texts, but it was identified that in the novel "Cannibaliada," the main causes of cannibalistic acts are a state of emergency and collapsed state institutions. In the case of "Departed," the primary focus lies on barbaric methods of survival in poverty and within a dehumanized society.

Traumatic experiences and social naturalism are common to both texts. However, the research revealed that each of the analyzed texts also has its own unique motifs. In Misha Bakhsoliani's novel, the symbol of systemic violence is institutionalized cannibalism. On the other hand, in Iago Tvalabeishvili's story collections, one of the main themes is the criticism of anthropocentrism, depicted through the lens of posthuman theories.

Keywords: cannibalism, posthumanism, new historicism, trauma, war, social inequality.